ხელშეკრულების საგანი

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს (ორგანიზაციული კოდი 32 05 02) ასიგნების ფარგლებში სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების (CPV: 45400000) დაფინანსება თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

2. დაფინანსების ოდენობა და წესი

2.1 „თანხის გამცემი" „თანხის მიმღებს" სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლას სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოუყოფს დაფინანსებას 49976 (ორმოცდაცხრაათასცხრაასსამოცდათექვსმეტი ლარი) ლარის ოდენობით.

2.2. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების მიზნით ,,თანხის გამცემი" ,,თანხის მიმღებს", ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში, ავანსის სახით გადაურიცხავს, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხის 50 %-ს.

2.3 ტენდერში გამარჯვებული კომპანიის გამოვლენისა და კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენის შემდგომ, „თანხის გამცემი" ,,თანხის მიმღებს" გადაურიცხავს (შეუვსებს) კორექტირებული ხარჯთღრიცხვის შესაბამისად დაზუსტებული საერთო თანხის 90%-ს, ხოლო დარჩენილი თანხის 10%-ის გადარიცხვა განხორციელდება სათანადოდ გაფორმებული შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.

2.4 ,,თანხის გამცემი" უფლებამოსილია, ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე შეაჩეროს თანხის გაცემა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

3. დაფინანსების პირობები

3.1 ,,თანხის მიმღები" ვალდებულია უზრუნველყოს მიღებული თანხის მიზნობრივად გამოყენება.

3.2 „თანხის მიმღები" იღებს ვალდებულებას მიღებული თანხის აუთვისებელი ნაწილი სრულად დააბრუნოს "თანხის გამცემის" შემდეგ ანგარიშზე : ანგ. №200122900 ბანკის კოდი – 220101222, შემოსავლის სახაზინო კოდი – 302009921.

4 მხარეთა მოვალეობები

4.1 ,,თანხის გამცემი" ვალდებულია ,,თანხის მიმღებს" გადაურიცხოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული თანხა, ამავე მუხლით გათვალისწინებული წესისა და ვადის დაცვით.

4.2 ,,თანხის მიმღები" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება, თანდართული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული სამუშაოების შესრულებისას, იმოქმედოს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

გ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად განსაზღვრული სამუშაოები განახორციელოს და შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია (ფორმა№2, ფორმა№3, მიღება-ჩაბარების აქტი, გახარჯული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია) სამუშაოს შესრულებისთანავე წარმოადგინოს სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის